სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში

ნინო დათაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სპეციალური განათლების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მიქიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშავარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მცირე ნაწილი გამოყენებულია სამაგისტრო სემინარის დავალების ფარგლებში.

ნინო დათაშვილი

21.06.2022

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ანა მიქიაშვილს, გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. მადლობას ვუხდი, ასევე, ჩემს კოლეგებს, ყველა იმ სპეციალურ მასწავლებელს, რომელთაც მიიღეს კვლევაში მონაწილეობა.

აბსტრაქტი

საქართველომ ინკლუზიური განვითარების კუთხით ოცდამეერთე სააუკუნის დასაწყისიდან დღემდე განვითარების რთული გზა განვლო. ამ გზაზე დღემდე გდას და გარკვეულწილად პროგრესსაც განიცდის, თუმცა ამასთან ერთად, თავს იჩენს არაერთი პრობლემაც. ერთ-ერთი აქტუალური პრობლემური საკითხი სკოლის ფიზიკური გარემოს მოწყობა და სწავლების პროცესში რესურსების ხელმისაწვდომობაა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი სწორედ რესურსების ხელმისაწვდომობას ეხება, კერძოდ, მხედველობის დარღვევის მქონმე მოსწავლეთა სწავლების პროცესში რა რესურსებს იყენებენ და არის თუ არა ისინი მათთვის მისაწვდომი. ვინაიდან სასწავლო რესურსები უშუალოდაა დაკავშირებული სწავლების ხარისხთანაც. ეს განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას. შესაბამისად, ეს უკანასკნელი განაპირობებს იმას, თუ როგორი იქნება აღნიშნულ მოსწავლეთა განათლების ხარისხი და შეძლებენ თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების დაძლევას და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, რომელზე დაყრდნობითაც შევიმუშავეთ ჰიპოთეზა და ჩამოვაყალიბეთ კვლევის კითხვები და მიზნები, კერძოდ:

- არის თუ არა სკოლა აღჭურვილი მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით?
- როგორია მოსწავლეთათვის აღნიშნული რესურსების მისაწვდომობა?
- როგორ აისახება ეს ამ მოსწავლეთა განათლების მიღების ხარიისხზე და მათ ჩართულობაზე?

როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნულ საკითხთან დაკაავშირებით ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებები არ არის შესაბამისად აღჭურვილი მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისათვის საჭირო რესურსით.

ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, მეორადი ინფორმაციის დამუშავება და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, შშმ და სსსმ მოსწავლეები, მხედველობის დარღვევა, სწავლების უნივერსალური დიზაინი, სასწავლო რესურსები.

Abstract

Georgia has come a long way In terms of the development of inclusive education from the beginning of the twenty-first century to the present day. It is still on this path and is making some progress, but at the same time, there are a number of problems. One of the current problematic issues is the arrangement of the school physical environment and the availability of resources in the teaching process.

This master thesis is about access to resources. In particular, what resources are used in the learning process of visually impaired students and whether they are accessible to them, since learning resources are directly related to the quality of teaching as well. This leads to student involvement. Consequently, the latter is directly related to the quality of education of these students, whether they will be able to achieve the objectives set out in the National Curriculum and the development of skills through which they can develop into full-fledged members of society.

In the first part of the work is presented a review of existing literature, Based on which we developed a hypothesis and formulated research questions and objectives, namely:

- Is the school equipped with the necessary material and technical resources to meet the needs of visually impaired students?
- What is the availability of these resources for students?
- How does this affect the quality of these students' education and their involvement? As already mentioned, we have formulated a hypothesis in connection with this issue, that in most cases, general education institutions are not adequately equipped with the resources needed to teach visually impaired students.

For the purpose of researching the paper, we used qualitative research methods, namely secondary information processing and semi-structured interviews.

Key words: Inclusive education, students with disabilities and special needs, visual impairment, universal teaching design, learning resources.